შეთანხმება
ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

თარიღი მითითებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ველში.

ერთი მხრივ **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოუფენ ნეტი“** (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდი: 404497790; შემდგომში — **შემსყიდველი**), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ სულაბერიძის სახით და —

მეორე მხრივ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარვუს ჯგუფი“** (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდი: 400266519; შემდგომში — **მიმწოდებელი**) წარმოდგენილი მისი დირექტორის სულხან ზუმბურიძის სახით,

შემდგომში — **მხარეები**,

ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეებს შორის 2020 წლის 31 ივლისს გაფორმებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის პროექტირება-მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N30 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების:

ა) 4.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.4. **მიმწოდებელმა პროექტირებისა** და **მშენებლობის სამუშაოები** მთლიანად უნდა დაასრულოს, დანართი N8-ის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული **საექსპერტო დასკვნა** უნდა წარმოადგინოს და **ინფრასტრუქტურის** საჯარო რეესტრში **სახელმწიფო პროგრამის** შესაბამისად რეგისტრაცია უნდა უზრუნველყოს 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.“;

ბ) 18.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18.2. წინამდებარე **ხელშეკრულება** მოქმედებს 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით.“.

მუხლი 2

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის სახელით
მარიამ სულაბერიძე, დირექტორი

Mariam Sulaberidze
Digitally signed by Mariam Sulaberidze
Date: 2020.10.26 14:27:32 +04'00'

მიმწოდებლის სახელით
სულხან ზუმბურიძე, დირექტორი

Sulkhan Zumburidze
Digitally signed by Sulkhan Zumburidze
Date: 2020.10.26 15:40:36 +04'00'